



კაპიტალის ბაზრები - 2024 წლის მე-2 კვარტალი

მთავარი საინვესტიციო თემები:

გაზრდილი შემოსავლიანობა ობლიგაციების ბაზრებზე

აშშ-ს 1-წლიანი სახაზინო ობლიგაციის შემოსავლიანობა წელს 5%-ს გადასცდა, მაგრამ მოსალოდნელია, რომ წლის ბოლომდე ეს ნიშნული შემცირდება

დადებითი მოლოდინები ტექნოლოგიურ აქციებზე

ხელოვნური ინტელექტის მოხმარება იზრდება, რაც მომხიბვლელს ხდის ტექნოლოგიურ აქციებს როგორც აშშ-ში, ისე ევროპაში და განვითარებად ბაზრებში

საინვესტიციო რისკის დაზღვევის საშუალებები

კრიპტოვალუტა, ოქრო და სხვა ალტერნატიული აქტივის კლასები საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციის კარგი საშუალებაა

1. შეჯამება


2024 წელი ძლიერი ზრდით დაიწყო აქციების ბაზრებზე.

გაიზარდა როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკების აქციების ფასები. საუკეთესო შედეგი აშშ-ს კომპანიებმა დააფიქსირეს, სადაც 2023 წლის მსგავსად, მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიები დომინირებდნენ. ეს დინამიკა განაპირობა ინვესტორების დადებითმა სენტიმენტმა, ნაწილობრივ აშშ-ს ძლიერი ეკონომიკური აქტივობის ფონზე (აშშ-ს ეკონომიკა 2023 წელს 2.5%-ით გაიზარდა, 2024-ში კი, IMF-ის პროგნოზების მიხედვით, 2.7%-იანი ზრდაა მოსალოდნელი).

შემოსავლიანობა გაიზარდა აშშ-ს ობლიგაციების ბაზრებზე.


აღსანიშნავია, რომ მოლოდინზე ძლიერმა ეკონომიკურმა აქტივობამ გაზარდა რისკი, რომ აშშ-ს ინფლაციის სამიზნე 2%-მდე შემცირებას მეტი დრო შეიძლება დასჭირდეს (ბოლო ოთხი თვის განმავლობაში საბაზო ინფლაცია 3.9%-დან მხოლოდ 3.8%-მდე შემცირდა). სწორედ ამ მიზეზით, ბაზარი წლის ბოლომდე სულ ორ ან სამ 0.25%-იან შემცირებას პროგნოზირებს აშშ-ს ფედერალური რეზერვის განაკვეთში. შეცვლილი მოლოდინების ფონზე გაიზარდა ობლიგაციების შემოსავლიანობა და 2023 წელს დაფიქსირებულ მინიმუმს აღემატება (იხილეთ გრაფიკი ხელმარჯვნივ).

S&P 500-ის სექტორების შედეგები 1კვ. 2024-ში



წყარო: Bloomberg

შემოსავლიანობა აშშ-ს ობლიგაციების ბაზარზე



წყარო: Bloomberg

კორპორატიული IG მოიცავს აშშ-ს დაბალ-შემოსავლიან ობლიგაციებს, ხოლო კორპორატიული HY კი მაღალ-შემოსავლიანს

2. აშშ-ს ობლიგაციები

როგორ და რატომ შეიცვალა მოლოდინები აშშ-ს ფედერალური რეზერვის პოლიტიკაზე?


წლის დასაწყისში ბაზარი პროგნოზირებდა, რომ Fed-ი საპროცენტო განაკვეთს დღევანდელი 5.25-5.50%-დან 4.0%-4.25%-მდე დაწვედა, დღეს კი შემცირება მხოლოდ 4.75%-5.0%-მდეა მოსალოდნელი. ამის მიზეზი ისაა, რომ ინფლაციამ, წინა წლისგან განსხვავებით, კლება დიდწილად შეწყვიტა.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი რაც ართულებს აშშ-ში ინფლაციის კლებას ძლიერი შრომის ბაზარია. ბოლო 12 თვის განმავლობაში აშშ-ში საშუალოდ 240,000 ახალი სამუშაო ადგილი იქმნებოდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა რაოდენობასთან ერთად გაიზარდა მუშაობის მსურველთა რაოდენობაც, რამაც მცირედით გაზარდა უმუშევრობის დონე და შეამცირა ინფლაციური წნეხი ხელფასების ზრდაზე.

რომელ ობლიგაციებშია მიმზიდველი ინვესტიცია?


დღეს აშშ-ს ობლიგაციების შემოსავლიანობა უფრო მაღალია ვიდრე ევროპული ობლიგაციების (2-წლიანი აშშ-ს და გერმანიის სახაზინო ობლიგაციებს შემოსავლიანობაა 4.65% და 2.89%, შესაბამისად). თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ინვესტირება მხოლოდ ამერიკულ ობლიგაციებშია მიმზიდველი. ისევე როგორც აქციების შემთხვევაში, ინვესტორებმა საინვესტიციო რისკი უნდა შეამცირონ დივერსიფიკაციით, ეს კი ნიშნავს, რომ პორტფელი სასურველია დაკომპლექტდეს როგორც ამერიკული, ისე ევროპული ობლიგაციებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დივერსიფიკაცია ასევე მოხდეს ვადიანობის და რისკიანობის მიხედვითაც. სახაზინო ობლიგაციებთან შედარებით, კომპანიების ობლიგაციები უფრო მაღალ შემოსავალს სთავაზობენ ინვესტორებს. მაგალითად, აშშ-ს მაღალ და საშუალო რისკიანობის მქონე კორპორაციული ბონდის შემოსავლიანობა დღეს 5.76% და 8.29%-ა, შესაბამისად.

ბაზრის მოლოდინი იმაზე თუ რამდენჯერ შეამცირებს Fed-ი განაკვეთს 2024 წელს




შენიშვნა: მოიაზრება 0.25%-იანი განაკვეთის შემცირებები წყარო: Bloomberg

წლიური ინფლაცია აშშ-ში



წყარო: Bloomberg

შემოსავლიანობა აშშ-ს სახაზინო ობლიგაციებზე (წყვეტილი ხაზები წარმოადგენს პროგნოზებს)



წყარო: Bloomberg

3. ტექნოლოგიების სექტორის აქცია


როგორი მოლოდინებია ტექნოლოგიურ აქციებზე?

ტექნოლოგიური აქციები ბოლო წლების განმავლობაში სხვა სექტორების აქციებზე უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა, მაგრამ გაზრდილი ფასების მიუხედავად, ანალიტიკოსები მაინც ინარჩუნებენ დადებით მოლოდინს სექტორზე. ამას პირველ რიგში განაპირობებს ინვესტორების ოპტიმიზმი ხელოვნური ინტელექტის გარშემო. 2024 წლის პირველ კვარტალში, ისევე როგორც 2023 წლის მანძილზე, შეინიშნება მზარდი მოთხოვნა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებზე. მოთხოვნა იზრდება როგორც სექტორულ, ისე გეოგრაფიულ ქრისტილში (შუა აღმოსავლეთი, შვედეთი, სინგაპური, იაპონია და კორეა). მოთხოვნა თავისთავად მზარდია აშშ-შიც: US Census Bureau-ს მიხედვით, აშშ-ში 2023 წლის პირველ კვარტალში კომპანიების 3.7%-დან 4.5%-მდე იყენებდა ხელოვნურ ინტელექტს. მოსალოდნელია, რომ ეს დიაპაზონი შემდეგი ექვსი თვის განმავლობაში 6.6%-12.0%-მდე გაიზრდება.

როგორ შეიძლება ინვესტიცია ხელოვნურ ინტელექტში?

ხელოვნურ ინტელექტში ინვესტიცია შეიძლება როგორც ერთეული აქციების, ისე ETF-ების მეშვეობით. ერთეული აქციების შემთხვევაში, პირდაპირ გზა არის მსხვილი აშშ-ს კომპანიების აქციების შეძენა. NVIDIA (NVDA), Alphabet (GOOGL), Microsoft (MSFT), Amazon.com (AMZN) და Salesforce (CRM) ასეთი კომპანიების მაგალითებია. თუმცა აღსანიშნავია, რომ მსხვილი ტექნოლოგიური აქციები დღეს საკმაოდ მაღალ ფასებად ივაჭრება და კაპიტალის მთლიანად მათში დაბანდება სარისკო გადაწყვეტილებაა. ამიტომ ერთეულ აქციებთან ერთად, ინვესტორებს შეუძლიათ ისეთი სექტორების ETF-ების შეიძინონ, სადაც ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები მეთად გამოიყენება (ან მოსალოდნელია, რომ სამომავლოდ იქნება გამოყენებული). ტექნოლოგიების გარდა, ასეთი სექტორებია ჯანდაცვა (XLV), ფინანსები (XLF) და კომუნიკაციები (XLC). გარდა სექტორებისა, ინვესტიცია შეიძლება უშუალოდ ხელოვნური ინტელექტის და ინოვაციური ტექნოლოგიების ETF-ებშიც. ასეთი ETF-ების მაგალითებია Global X AI & Tech ETF (AIQ), iShares Robotics & AI Multisector ETF (IRBO) და First Trust Nasdaq AI & Robotics ETF (ROBT).

აშშ-ს ტექნოლოგიების სექტორის შედეგი სხვა სექტორებთან შედარებით (2019 წლიდან დღემდე)




წყარო: Bloomberg

ტექნოლოგიური სექტორების ინდექსების შედეგები (2021 წლიდან დღემდე)



წყარო: Bloomberg

Google-ში სიტყვათა წყობის „Artificial Intelligence“ ძიების პოპულარობის ინდექსი



წყარო: Google Trends



4. ალტერნატიული აქტივების კლასები


რა არის Bitcoin-ის ETF და ღირს თუ არა ინვესტირება?

ბიტკოინი ყველაზე მსხვილი კრიპტოვალუტაა, რომელიც კრიპტო ბაზრის კაპიტალიზაციის 52%-ს შეადგენს. ბიტკოინის ETF კი არის ფონდი, რომელიც თანხას აბანდებს ბიტკოინში და მისი ღირებულებაც, შესაბამისად, ახლოს მიჰყვება ბიტკოინის ფასს. ინვესტიციების სამყაროში ბიტკოინი სპეკულაციურ აქტივად მოიაზრება, რადგან განსხვავებით ტრადიციული აქტივის კლასებისგან (მაგალითად აქციებისგან და ობლიგაციებისგან) მას არ აქვს შემოსავლის წყარო. მიუხედავად ამისა, კრიპტოვალუტას შეუძლია საინვესტიციო პორტფელი უფრო დივერსიფიცირებული გახადოს (იქიდან გამომდინარე, რომ ბიტკოინის ფასი ნაკლებად კორელაციაშია აქციების და ობლიგაციების ფასებთან). თუმცა აღსანიშნავია, რომ მაღალი ვოლატილობიდან გამომდინარე, ბიტკოინის პორტფელში შეყვანა მაღალი წონით არ არის რეკომენდირებული.

რა არის ოქროს ETF და ღირს თუ არა ინვესტირება?


ოქროს ETF არის ფონდი, რომელიც თანხას აბანდებს ოქროში და შესაბამისად, ინვესტორებისთვის იგივე ღირებულებას ქმნის, რასაც ფიზიკურ ოქროში ინვესტირება. ბიტკოინის მსგავსად, ოქროს დამატება პორტფელს მეტად დივერსიფიცირებულს ხდის, თუმცა კრიპტოვალუტისგან განსხვავებით, ოქრო საკმაოდ დაბალ-რისკიანი აქტივია. ამ აქტივის ფლობა განსაკუთრებით გამოსადეგი ხდება მაკროეკონომიკური თუ გეოპოლიტიკური სირთულეების პერიოდებში. მაგალითად, 2024 წლის პირველ კვარტალში, გეოპოლიტიკური მდგომარეობა გამწვავდა ახლო აღმოსავლეთში, რამაც ოქროს ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ბიტკოინის ფასი 2024 წლის პირველ კვარტალში



წყარო: Bloomberg

ოქროს ფასი 2024 წლის პირველ კვარტალში



წყარო: Bloomberg

2024 წლის პროგნოზები

ობლიგაციები:

ანალიტიკოსები პროგნოზირებენ, რომ შემდეგი ორი წლის განმავლობაში, შემოსავლიანობა შემცირდება როგორც აშშ-ს, ისე ევროპის ობლიგაციებზე. მოსალოდნელია, რომ წლის ბოლომდე აშშ-ს 2-წლიანი სახაზინოს შემოსავლიანობა 4.93%-დან 3.77%-მდე შემცირდება, ხოლო გერმანიის 2-წლიანი სახაზინოს კი 2.90%- დან 1.89%-მდე.

აქციები:

BlackRock Investment Institute-ის მიხედვით, აშშ-ს და იაპონიის აქციების ბაზრებმა სხვა გეოგრაფიულ ბაზრებზე უკეთესი შედეგები უნდა დააფიქსირონ შემდეგ 6-12 თვის განმავლობაში, ხოლო ევროპის აქციებზე უარყოფითი მოლოდინებია.

რაც შეეხება S&P 500-ის სექტორებს, ანალიტიკოსები პროგნოზირებენ, რომ ენერჯეტიკის, მატერიალების და საფინანსო სექტორები საუკეთესო შედეგებს დააფიქსირებენ, ხოლო უძრავი ქონების და სამომხმარებლო ციკლური სექტორები დანარჩენ სექტორებს ჩამორჩებიან.

ობლიგაციები

შემოსავლიანობის პროგნოზები (%)

	ბოლო	2Q24F	3Q24F	4Q24F	1Q25F
US treasuries					
30-year	4.74	4.23	4.14	4.11	4.06
10-year	4.63	4.03	3.93	3.87	3.82
5-year	4.65	4.34	3.98	3.84	3.73
2-year	4.93	4.26	4.00	3.77	3.60
SOFR	5.30	5.31	5.08	4.82	4.44
German bunds					
10-year	2.43	2.18	2.10	2.11	2.09
2-year	2.90	2.32	2.07	1.89	1.84
EURIBOR	3.89	3.65	3.34	3.03	2.81

წყარო: Bloomberg

აქციები

მომავალი 12 თვის პროგნოზები

S&P 500 Sectors	ETF	Outlook		
ენერჯეტიკა	XLE			
საფინანსო	XLF			
მატერიალები	XLB			
ტექნოლოგიები	XLE			
სამომხმარებლო არაციკლური	XLB			
კომუნიკაციები	XLK			
კომუნალური	XLV			
ინდუსტრიული	XLP			
ჯანდაცვა	XLRE			
სამომხმარებლო ციკლური	XLI			
უძრავი ქონება	XLU			

წყარო: Bloomberg

მომავალი 6-12 თვის პროგნოზები

Regional Markets	ETF	Outlook		
აშშ	SPY			
იაპონია	EWJ			
დიდი ბრიტანეთი	EWU			
განვითარებადი ბაზრები	EEM			
ჩინეთი	MCHI			
ევროპა	IEUR			

დადებითი ნეიტრალური უარყოფითი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაცვა ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიზნებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომელიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიზნობრივ არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაყენებულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოკლული არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge

კვლევები: research@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)

საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)

ევა ბოჭორიშვილი - კვლევების დეპარტამენტის უფროსი
|evabochoreshvili@gt.ge| +995 32 2401 111 ext. 8036

გიგი ცქიტიშვილი - კაპიტალის ბაზრების უფროსი ანალიტიკოსი
|g.tsikitishvili@gt.ge| +995 32 2401 111 ext. 8967